ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

29 მაისი - 3 ივნისი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია გერმანიაში

ფედერალური პროკურორის ოფისი ავრცელებს ინფორმაციას, უსაფრთხოების სამსახურების მიერ გასულ კვირას ბრემენში, ჰამბურგსა და ჰესეში ჩატარებული 19 სამხედრო რეიდის ფარგლებში ტერორისტულ ორგანიზაცია "დაეშთან" დაკავშირებული 7 პირის დაკავებასთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული პირები ტერორისტული ორგანიზაციის მხარდაჭერის მიზნით, Telegram-ის დახმარებით აგზავნიდნენ თანხას სირიაში. ჩატარებული საგამოძიებო სამუშაოების თანახმად, დაკავებამდე მათ სირიაში 65000 ევროს გაგზავნა შეძლეს.

04.06.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ბერგამოში

ბერგამოს პოლიცია ავრცელებს ინფორმაციას, უსაფრთხოების სამსახურთან ჩატარებული საერთო ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში, არასრულწლოვანი პირის დაკავების შესახებ. ჩატარებული საგამოძიებო სამუშაოების თანახმად, დაკავებული პირი ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის ახალგაზრდული ქსელის აქტიური წევრია, რომელიც ბერგამოში ტერორისტული თავდასხმის განხორციელებას გეგმავდა.

04.06.2023

აფეთქება აღმოსავლეთ ლიბანში

აღმოსავლეთ ლიბანში სირიის მიერ მხარდაჭერილი პალესტინური ფრაქციის სამხედრო ბაზაზე მომხდარი აფეთქების შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა. სამხედრო ბაზის წარმომადგენლების განმარტებით, აფეთქება ისრაელის მიერ განხორციელებული წერტილოვანი საჰაერო-სამხედრო დარტყმების შედეგად მოხდა. თუმცა, ლიბანის არმიის წარმომადგენლის თანახმად, აღნიშნული აფეთქება სამხედრო ბაზის შიგნით არსებული ტექნიკური გაუმართაობის გამო მოხდა. ისრაელის თავდაცვის ძალების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უარყო მომხდარზე პასუხისმგებლობა.

02.06.2023

ტერორისტული თავდასხმების სერია დასავლეთ ბურკინა-ფასოში

მალის საზღვართან ახლოს, ბურასოში სამხედრო კოლონასა და ადგილობრივ მოსახლეობაზე განხორციელებული ორი ტერორისტული თავდასხმის შედეგად 40-მდე ადამიანი დაიღუპა. რეგიონული ხელისუფლების განმარტებით, ბოლო წლებში ბურკინა-ფასოში მოქმედმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა გაზარდეს

მოხალისეთა სამხედრო დანაყოფებზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების რაოდენობა.

01.06.2023

ტერორისტული თავდასხმების სერია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ *კივუს* რეგიონში, *ბამბუბა-კისიკის* ტერიტორიაზე ტერორისტული ორგანიზაცია გაერთიანებული დემოკრატიული ძალების (ADF) მებრძოლების მიერ ადგილობრივი მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმების შედეგად დაიღუპა 17 სამოქალაქო პირი.

30.05.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჩრდილოეთ ვაზირისტანში

პაკისტანის უწყებათაშორისი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, უსაფრთხოების სამსახურების მიერ ჩრდილოეთ ვაზირისტანში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ტერორისტული ორგანიზაცია “პაკისტანის თალიბანის” 2 წევრი.

29.05.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ბარამულაში

ინდოეთის უსაფრთხოების სამსახურებმა *ბარამულაში* (*ჯამუ* და *ქაშმირი*) ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია „ლაშქარ-ე-*თაიბასთან*“ (ქართ. „წმინდათა ლაშქარი“) დაკავშირებული 2 პირი დააკავეს. დაკავების ადგილიდან ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი და შესაბამისი ტყვია-წამალი.

01.06.2023